მი-ვინმე-ვიდეს ბერნი მამისა პიმენისა და ჰრქუეს: გინებსა, რადთა ჰრულოდის ძმათა ეკლესიასა შინა, განვალუიძნეთა იგინი, რადთა ილუიძებდენ ღამისთევასა? ჰრქუა მას ბერმან მე ერთი ჯერი უკუეთუ ვიხილო ძმაჲ ჩემი, რომელსა ჰრულოდის, დავდვა თავი მისი მუკლთა ჩემთა ზედა და განუსუენო მას.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (61:295r), **A** (75:162v), **Dvali, 1974** (71:178)

51.76. (52v) Poemen 93 (GE459, R667)

inc. იტყოდეს ვისთუისმე ძმისა, რამეთუ ბრძოლად აქუს გმობისა და ჰრცხუენის თხრობად.

des: მე არა ვიცი, გმობაჲ ეგე შენი შენ ზედავე იყავნ, ეშმაკო, რამეთუ ეგე საქმე არა უნებს სულსა ჩემსა და ყოველი საქმე, რომელი არა უნებნ სულსა, მცირედ ჟამ არნ.

Notes:

Parallel Georgian sources: **A** (76:162v-163r), **Sin.geo.N.55** (48:21v-22r), **Dvali, 1974** (72:178-179)

51.77. (52v-53r) Poemen 94 (GE460, R668)

inc. ძმამან ჰკითხა მამასა პიმენს, ვითარმედ: ვხედავ თავსა ჩემსა, რამეთუ სადაცა მივიდი, ვპოდ განსუენებაჲ.

des: აწ უკუე ჩუენცა განვიმზადნეთ თავნი თჳსნი⁴ სათნოებათათჳს უფლისათა⁵

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (62:295v), **A** (77:163r/v), **Dvali, 1974** (73:179)

51.78. (52v-53r) Poemen (GE461)

ვჰყოფდეთ მსგავსად მფრინველთა, რომელთა განიმზადნიან ბუდენი თუისნი თივათაგან, ვპოვოთ განსუენებაჲ წინაშე მისა.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (63:295v), **A** (78:163v), **Dvali, 1974** (73:179)

51.79. (53r) Poemen 96 (GE462, R670)

მერმე თქუა: იტყოდა მამად ამონა, ვითარმედ: არს კაცი რომელმან დაყვის ასი წელი სენაკსა შინა თუისსა და ვერ ისწავის, ვითარ ჯერ-არს სენაკსა შინა ჯდომად, ხოლო განშორებულმან ერთსა შინა დღესა.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (62:295v), **Sin.geo.N.55** (49:22r), **A** (79:163v), **Dvali, 1974** (74:179)

51.80. (53r) Poemen (GE463)

რადთა კაცი, თუისაგან მყოფი, დღითი-დღედ თავსა თუისა აბრალეზდეს, რამეთუ ესე არს სახე განშორებულთაჲ.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (63:295v), **Sin.geo.N.55** (50:22r), **A** (80:163v), **Dvali, 1974** (74:179)

51.81. (53r) Poemen 75 (GE464, R649)

მერმე თქუა მამისა ჰამბოძსთუის, რამეთუ იტყოდა მისთუის მამაჲ ანტონი, ვითარმედ ღმრთის-მოშიშებისა მისისათუის დაიმკუიდრა სულმან ღმრთისამან მისთანა.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (66:295v), **Sin.geo.N.55** (51:22r/v), **A** (81:163v), **Dvali, 1974** (75:179)

51.82. (53r/v) Poemen 97 (GE465, R671)

inc. მერმე თქუა მამამან პიმენ: დიდ არს კაცისა, რომელი მიიწიოს სიტყუასა მას მოციქულისსა: „ყოველივე წმიდა არს წმიდათათუის“

des: უკუეთუ მიიწიოს კაცი⁸ სიტყუასა⁹ მოციქულისასა და იხილოს ვინმე, რომელი მოჰკლვიდეს კაცსა, თქუას გულსა შინა თვისსა, ვითარმედ: ამას ესე ხოლო ცოდვად უქმნიეს. ხოლო მე ყოველსა ჟამსა კაცსა ვკლავ.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (67:295v), **A** (82:164r), **Dvali, 1974** (76:179-180)

51.83. (53r/v) Poemen (GE466)

მერმე ჰკითხა ძმამან და ჰრქუა: ვითარ მიღირს ყოფად¹⁰? ჰრქუა მას ბერმან: გაქუნდინ ზრახვად მწირისად ადგილსა, რომელსაცა ჰმსწირობდე და ნუ წარიძლუანებ სიტყუასა წინაშე შენსა და განისუინო.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (68:295v), **Sin.geo.N.55** (52:26v), **A** (83:164r), **Dvali, 1974** (76:180)

51.84. (53v-54r) Poemen 100 (GE467, R674)

inc. ძმამან ჰკითხა მამასა პიმენს: რადა დააჯეროინ სულსა ჩემსა გულის-
სიტყუათა უფროდისა თანა დასწორებად და შეურაცხმყოფად მციან
უდარესი?

des: უკუეთუ ვინმე განიწმიდოს თავი თუისი ამის ყოვლისაგან, იყოს
იგი ჭურ პატიოსან.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (69:295v), **A** (84:164v-165r), **Dvali, 1974** (77:180)

51.85. (53) Poemen 105 (GE468, R679)

იტყოდეს მამისა პიმენისა, ვითარმედ არასადა უნებნ, ვითარმცა თუისი
სიტყუად დაამძიმა უფროდს სხუისა ბერისა, არამედ უფროდს-და
ყოველსა შინა აქებნ სხუასასა მას.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.N.55** (53:22v), **A** (85:165r), **Dvali, 1974**
(78:181)

51.86. (54r) Poemen 106 (GE469, R680)

თქუა ძმამან პიმენ: მრავალნი მამათა მათ ჩუენთაგანნი იყუნეს მცნე
მარხვისათუის, ხოლო წულილად გამოძიებისათუის ერთი-ერთი.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (70:296r), **Sin.geo.N.55** (54:22v), **A**
(86:165r), **Dvali, 1974** (79:181)

51.87. (54r) Poemen 107 (GE470, R681)

inc. ჯდა ოდესმე მამად ისაკ მამისა პიმენის თანა და ესმა ჳმად ქათმისაად

des: შენ და მსგავსნი შენნი ისმენტ მაგას, ხოლო გონებითა ფრთხილსა
არა განჰვალს მაგათი.

Notes:

Parallel Georgian sources: **A** (87:165r), **Dvali, 1974** (80:181)

51.88. (54r/v) Poemen 109 (GE471, R683)

inc. იყო ვინმე ღმრთის მოშიში ერისაგანი და ღირსად ცხორებული და მოსრულ იყო მამისა პიმენისა.

des: და ძმანი იგი აღემენნეს და წარვიდეს.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.N.55** (55:22v-23v), **A** (88:165r-166r), **Dvali, 1974** (81:181-182)

51.89. (55r) Poemen 112 (GE472, R686)

inc. თქუა მამამან პიმენ, რამეთუ: ესე არს სიტყუად იგი, რომელი წერილ არს სახარებასა.

des: ესე იგი არს, რომელსა აქუნდეს განსუენებად, დაუტევენ იგი და მოიპონ თავისა თუისისა შრომად.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (71:296r), **Sin.geo.N.55** (56:23v), **A** (89:166r/v), **Dvali, 1974** (82:182)

51.90. (55r) Poemen 113 (GE473, R687)

ჰკითხეს ვიეთმე ბერთა მამასა პიმენს და ჰრქუეს: უკუეთუ ვინმე ვიხილოთ ძმად, რომელი ცოდვიდეს, გინებსა, რადთა ვამხილოთ მას? ჰრქუა მათ ბერმან: მე ერთ ჯერი დაღაცათუ მივემთხუიო, არავე ვამხილო მათ.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (72:296r), **Sin.geo.N.55** (57:23v-24r), **A** (90:166v), **Dvali, 1974** (83:182)

51.91. (55r) Poemen 114 (GE474, R688)

inc.: მერმე თქუა ბერმან, რამეთუ: ოდესმე ძმად ვინმე შეიტყუვა ეშმაკმან ესევითარითა რადთმე და იხილა ძმად თუისი რეცათუ დედაკაცისა თანა ცოდვიდა.

des: ამისთვის გარკვეულ თქვენ დადაცათუ თუალითა იხილოთ, ნუვე ამხილებთ.

Notes:

Parallel Georgian sources: **A** (91:166v), **Dvali, 1974** (83:182)

51.92. (55r/v) Poemen 115 (GE475, R689)

inc. ძმამან ჰკითხა მამასა პიმენს და ჰრქუა: რად ვყო, რამეთუ ბრძოლაჲ მაქუს სიძვისაჲ და მიმოვიტაცები გულისწყრომაჲ.

des: ესე იგი არს: გულისწყრომასა მოვჰკლევდ, ხოლო გულისთქუმასა შრომითა ვაჭირვებდ.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (73:296r), **Sin.geo.N.55** (58:24r/v), **A** (92:166v-167r), **Dvali, 1974** (84:182-183)

51.93. (55v) Poemen 117 (GE476, R691)

inc. ძმამან ჰკითხა მამასა პიმენს და ჰრქუა: რად არს ორგულებაჲ?

des: და აჰა ეგერა დირე თუალსა შინა შენსა, ორგულო, აღმოიღე დირე ეგე, რომელი არს თუალსა შინა აშენსა, და მაშინდა იხილო აღმოღებაჲ ძმისა შენისა.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (74:296r), **Sin.geo.N.55** (59:24v), **A** (93:167r/v), **Dvali, 1974** (85:183)

51.94. (55v) Poemen 131 (GE477, R705)

inc. ჰკითხეს მამასა პიმენს: ვითარ ეგრე თავს-ედვა მამასა ნისთერეონს თუისისა მოწვისაჲ?

des: აღმოიღე პირველაჲ დირე ეგე, რომელ არს თუალსა შენსა და მაშინ იხილო აღმოღებაჲ წუელი თუალისაგან ძმისა შენისა.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.N.55** (60:25r), **A** (94:167v), **Dvali, 1974** (86:183)

51.95. (55v-65r) Poemen 118 (GE479, R692)

inc. ძმამან ჰკითხა მამასა პიმენს და ჰრქუა: რად არს განრისხებად ცუდი ძმისათვის?

des: ხოლო უკუეთუ ვისმე უნდეს განშორებად შენა ღმრთისაგან, მისთვის განრისხენ.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (78:296v), **Sin.geo.N.55** (61:25r/v), **A** (95:167v-168r), **Dvali, 1974** (87:183-184)

51.96. (56r) Poemen 116 (GE479, R690)

inc. მერმე თქუა: უფროდსი ამისა სიყუარული არა პოვოს კაცმან, ვითარმცა დადვა სული თუისი მოყუსისა თუისისათვის.

des: და არცა შეაწუხოს იგი რომელსავე ზედა, ეგევითარმან მან დადვა სული თუისი მოყუსისა თუისისათვის.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (76:296v), **Sin.geo.N.55** (62:25r/v), **A** (96:167v-168r), **Dvali, 1974** (87:183-184)

51.97. (56r) Poemen 121 (GE480, R695)

Entire text: თქუა ძმამან პიმენ: მრავალნი იყუნეს ძლიერ, ხოლო მცირედნი განურისხებელ.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (77:296v), **Sin.geo.N.55** (63:25v), **A** (97:168r), **Dvali, 1974** (88:184)

51.98. (56r) Poemen 119 (GE481, R693)

inc.: ძმამან ჰკითხა მამასა პიმენს და ჰრქუა რად უყო ცოდვათა ჩემთა?

des: მერმე ჰრქუა მას ბერმან: და რომელსა უნდეს თავისა თუისისა ჯსნად ცოდვათაგან, ტირილითა იქსნეს.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (78:296v), **Sin.geo.N.55** (64:25v), **Ath.12** (98:168r/v), **Dvali, 1974** (89:184)

51.99. (56v) Poemen 50 (GE482, R624)

inc.: მერმე ჰკითხა ძმამან და ჰრქუა: რად ვყო?

des: ჰრქუა მას ბერმან: საფლავი ადგილი არს ტირილისა და გლოდსად.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (79:296v), **Sin.geo.N.55** (65:25v), **Ath.12** (99:168v), **Dvali, 1974** (90:184)

51.100. (56v-57r) Poemen 136 (GE483, R709)

inc.: მერმე ჰკითხა და თქუა: ვინ არს, რომელი იტყუის: შევეყავ ყოველთა მოშიშთა შენთა?

des: მერმე თქუა ბერმან: ესე ჳმად ლაღადების კაცთა მომართ ვიდრე სულისა აღმოსლვამდე, ვითარმედ დღეს მოიქეცით.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (80:296v), **Sin.geo.N.55** (66:25v-26r), **Ath.12** (100:168v), **Dvali, 1974** (90:184)

51.101. (57r) Poemen 120 (GE484, R694)

მერმე კუალად ჰკითხა მას და ჰრქუა: რად არს სინანული ცოდვისად? ჰრქუა მას ბერმან: რადთა არღა რა იქმოდის მას, რამეთუ ამისთვის იტყუის უბიწოდ მართალი, რამეთუ დაუტევის ცოდვად და მართალ იქმნეს.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (81:296v), **Sin.geo.N.55** (67:26r), **Ath.12** (101:168v-169r), **Dvali, 1974** (91:185)

51.102. (57r) Poemen 48 (GE485, R622)

მერმე იტყოდა: დაღაცათუ ქმნეს კაცმან ახალი ცად და ახალი ქუეყანად, ვერ ჳელეწიფების უზრუნველ ყოფად.

Notes:

Parallel Georgian sources: Sin.geo.N.55 (68:26v), Ath.12 (102:169r), Dvali, 1974 (92:185)

51.103. (57r) Poemen 121 (GE486, R695)

მერმე თქუა, ვითარმედ: სიბოროტე ეშმაკთაჲ უკუანა კერძო მათსა დაფარულ არს.

Notes:

Parallel Georgian sources: Sin.geo.O.35 (82:296v), Sin.geo.N.55 (69:26v), Ath.12 (103:169r), Dvali, 1974 (92:185)

51.104. (57r) Poemen 123 (GE487, R697)

inc.: ჰკითხა მას ძმამან და ჰრქუა: რაჲ უყო ურგებთა მათ სიყუარულთა ჩემთა, რომელნი მქონან?

des: არამედ ნუ მიეახლები, ნუცა შეეხები და თუით უცხო იქმნენ შენგან.

Notes:

Parallel Georgian sources: Sin.geo.O.35 (83:296v), Sin.geo.N.55 (70:26v), Ath.12 (104:169r), Dvali, 1974 (92:185)

51.105. (57r) Poemen (GE488)

თქუა მამამან პიმენ, ვითარმედ: დავით მიუწერს დოაზს ვითარმედ: განაძლიერე ბრძოლად, დაეუფლე ქალაქსა მაგას და დაარღუე ეგე. რამეთუ ქალაქი მტერობად არს.

Notes:

Parallel Georgian sources: Sin.geo.O.35 (84:296v), Ath.12 (105:169r), Dvali, 1974 (93:185)

51.106. (57r) Poemen (GE489)

მერმე ჰრქუა დოაზ ერსა მას: განაძლიერდით და იქმნენით ძედ ძლიერებისა და ვჰბრძოდეთ ერისათუის ღმრთისა ჩუენისა, იგი ჩუენ ვართ.

Notes:

Parallel Georgian sources: Sin.geo.O.35 (85:296v), Ath.12 (106:169r/v), Dvali, 1974 (94:185)

51.107. (57r/v) Poemen 127 (GE490, R701)

თქუა ბერმან, რამეთუ: სწავლაჲ მოყუსისაჲ ეგრეთვე არს, ვითარცა მხილებაჲ. მერმე თქუა, ვითარმედ: რაჲ საკმარ არს კაცისა სხუისა სახლისა აშენებაჲ და თავისა დარღუევაჲ?

Notes:

Parallel Georgian sources: Sin.geo.O.35 (86:297r), Sin.geo.N.55 (71:26v), Ath.12 (107:169v), Dvali, 1974 (95:185)

51.108. (57v) Poemen 128 (GE491, R702)

მერმე თქუა: რაჲ საკმარ არს კაცისა, უკუეთუ მივიდეს ჳელოვნებისა სწავლაჲ და არა ისწაოს?.

Notes:

Parallel Georgian sources: Sin.geo.O.35 (87:297r), Sin.geo.N.55 (72:26v), Ath.12 (108:169v), Dvali, 1974 (96:185)

51.109. (57v) Poemen 129 (GE492, R703)

მერმე თქუა: ყოველივე უფროჲს ზომისა ეშმაკთაგან არს.

Notes:

Parallel Georgian sources: Sin.geo.O.35 (88:297r), Sin.geo.N.55 (73:26v), Ath.12 (109:169v), Dvali, 1974 (97:186)

51.110. (57v) Poemen (GE493)

მერმე თქუა: ნუ აღასრულებ ნებასა შენსა, არამედ უფროჲს-ღა თანაგუაც, რაჲთა დაუმდაბლოთ თავი ჩუენი.

Notes:

Parallel Georgian sources: Sin.geo.O.35 (89:297r), Sin.geo.N.55 (74:26v), Ath.12 (110:169v), Dvali, 1974 (98:186)

51.111. (57v) Poemen 130 (GE494, R704)

მერმე თქუა ბერმან: ოდეს კაცმან მრავალი საჯმარი შეიკრიბის, მაშინ-ღა შეუძლის აღშენებად სახლისა, ეგრეცა ჩუენ მოვილოთ ყოველთაგან სათნოებათა.

Notes:

Parallel Georgian sources: Sin.geo.O.35 (90:297r), Sin.geo.N.55 (75:26v-27r), Ath.12 (111:169v), Dvali, 1974 (99:186)

51.112. (57v) Poemen 146 (GE495, R720)

inc.: ჰკითხა მას ძმამან თესლისათუის ეშმაკთადასა

des: ესრეთ უღირს კაცსა ყოფად ყოველსა ჟამსა, რამეთუ ცეცხლი იგი თესლი არს მტერისაჲ, ხოლო წყალი — წინაშე ღმრთისა დაგდებაჲ თავისაჲ.

Notes:

Parallel Georgian sources: Sin.geo.O.35 (91:297r), Sin.geo.N.55 (76:27r), Ath.12 (112:169v-170r), Dvali, 1974 (100:186)

51.113. (57v) Poemen 147 (GE496, R721)

მერმე ჰრქუა მას ძმამან: რად უმჯობეს არს, სიტყუად ანუ დუმილი? ჰრქუა მას ბერმან: რომელი იტყოდის ღმრთისათჳს, კეთილ არს, და რომელი დუმნეს ღმრთისათჳს, კეთილარსვე.

Notes:

Parallel Georgian sources: Sin.geo.O.35 (92:297r), Sin.geo.N.55 (77:27r), Ath.12 (113:170r), Dvali, 1974 (101:186)

51.114. (57v-58r) Poemen 148 (GE497, R722)

inc.: მერმე ჰკითხა მას ძმამან და ჰრქუა: ვითარ ვინ განერეს ბოროტად სიტყუისაგან მოყუასისა თუისისა?

des: და ოდეს კუალად თავი თუისი სახიერ უწნ ძჳოდს ძმაჲ იგი მისი უკეთურ წინაშე მისა.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (93:297r), **Sin.geo.N.55** (78:27r/v), **Ath.12** (114:170r/v), **Dvali, 1974** (102:186)

51.115. (58r) Poemen 149 (GE498, R723)

inc.: მერმე ჰკითხა ძმამან ურვისათუის და სულ-მოკლებისათუის.

des: არამედ უკუეთუ ცნას კაცმან გამოცდილებით, ვითარმედ იგი არს, განისუენოს.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (94:297r), **Sin.geo.N.55** (79:27v), **Ath.12** (115:170v), **Dvali, 1974** (103:187)

51.116. (58r) Poemen 137 (GE499, R711)

inc.: ჰრქუა მას მამამან პიმენ, ვითარმედ ჰკითხა ძმამან მამასა ანუბს და ჰრქუა: უკუეთუ გამოვიდე სენაკით და ვპოვო ძმაჲ ჩემი ზრუნვასა შინა, მეცა ვზრუნვიდე მის თანა, და თუ ვპოჲ იგი, ვითარმედ იცინინ, მეცა ვიცინოდი მის თანა, და ოდეს შევიდი სენაკად ჩემდა, ვერ ვპოჲ განსუენებაჲ.

des: ჰრქუა მას ძმამან მან: და ვითარ? ჰრქუა მას ბერმან: ვითარცა შინა საცოჲ არს, ეგრეცა გარე ეკრძალე საცოსა შენსა.

Notes:

cfr.. τὸν ἀββᾶν ἄνὸν (Par.gr.1598,66r), τὸν ἀββᾶν Σιμουνα (PG), მამასა ამონს / Abba Amon (Ath.12, Sin.geo.N.55), მამასა ანობს / Abba Anob (Sin.geo.O.35),

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (95:297r), **Sin.geo.N.55** (80:27v-28r), **Ath.12** (116:170v-171r), **Dvali, 1974** (104:187)

51.117. (58r/v) Poemen 152 (GE500, R726)

Inc: ძმამან ჰკითხა მამასა პიმენს და ჰრქუა: მინებს, რადთა ზოგად ცხორებულთა თანა შევიდე.

Des: უკუეთუ არა უზრუნველ იყო ყოვლისაგან შემთხუევისა და ყოვლისაგან საქმისა, ვერ იყო ზოგად ცხორებულთა თანა.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (96:297v), **Sin.geo.N.55** (81:228r), **Ath.12** (117:171r), **Dvali, 1974** (105:187)

51.118. (58v) Poemen 153 (GE501, R727)

ძმამან ჰკითხა მამასა პიმენს და ჰრქუა: რად ვყო? ჰრქუა მას ბერმან:
წერილ არს უსჯულოებად ჩემი მიუთხრა და ვზრუნვიდე მე ცოდვათა
ჩემთათვის.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (97:297v), **Sin.geo.N.55** (82:28r), **Ath.12** (118:171r), **Dvali, 1974** (106:187)

51.119. (58v) Poemen 154 (GE502, R728)

თქუა მამამან პიმენ, ვითარმედ: სიძვად და მოყუსისა თუისისა
ძუირისსიტყუად არა უღირს კაცსა თავს-დებად — ორთავე მათ
გულისსიტყუად ყოვლადვე არცა სიტყუად, არცაღა განცდად გულსა
შინა თუისსა. უკუეთუ უნდეს განკითხვად და გმოზად, გულსა შინა
ევნოს, არამედ მრისხანედ გარე-მოიქცე მათგან და განისუენო.

Notes:

inc. Εἶπεν ἀββᾶ ποιμὴν· ἡ πορνεία· καὶ τὸ κατὰ τοῦ πλησίον λαλήσαι, οὐ δέον
ἔστιν τὸν ἄνθρωπον ἀναίχεσθαι(?) τῶν δύο λογισμῶν τούτων τὸ σύνολον (69r,
Par.gr.1598)

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (98:297v), **Sin.geo.N.55** (83:28r/v), **Ath.12** (119:171r/v), **Dvali, 1974** (107:187-188)

51.120. (59r) Poemen 155 (GE503, R729)

ეტყოდეს ძმანი მამასა პიმენს: წარვიდეთ ამიერ ადგილით, რამეთუ
მეწყინების ჩუენ. და აჰა ესერა ყრმებიცა ტირს და არა მიტევეზნ ჩუენ
დაყუდებად. ჰრქუა მათ მამამან პიმენ: ანგელოზთა კმისაგან გნებავსა
სივლტოლად ამიერ?

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.N.55** (84:28v), **Ath.12** (120:171v), **Dvali, 1974**
(108:188)

51.121. (59r) Poemen (GE504)

თქუა მამამან პიმენ: უკუეთუ ისწაოს კაცმან მოძღურებაჲ, აქუნდეს შრომაჲ.

Notes: The only Greek source that was possible to identify so far is Par.gr.1598: *Εἶπεν πάλιν· ὅτι ἐὰν μάθῃ (α vix leg.) ἄνθρωπος εἶναι διδάσκαλος, κόπον ἔξει* (70v)

Parallel Georgian sources: Sin.geo.O.35 (99:297v), Sin.geo.N.55 (85:28v), Ath.12 (121:171v), Dvali, 1974 (109:188)

51.122. (59r) Poemen 156 (GE505, R730)

inc.: ჰკითხა მამამან პიტომი მამასა პიმენს და ჰრქუა: უკუეთუ ვისმე აქუნდეს ჩემ თანა გულის-კლებაჲ, მივიდე და დაუვრდე მას სინანულით და არა მომითუალოს, რაჲ ვყო, მამაო?

Des.: ჰრქუა მას მამამან პიმენ: მიერთგან შეუძრწუნებელად ილოცევდ ღმრთისა მიმართ, რადთა მან დაარწმუნოს მას და შენ უზრუნველ იქმნე.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (100:297v), **Sin.geo.N.55** (86:28v-29r), **Ath.12** (122:171v-172r), **Dvali, 1974** (110:188)

51.123. (59r) Poemen 159 (GE506, R733)

მამამან ჰრქუა მამასა პიმენს: ვპოე ადგილი, რომელსა აქუნდა ყოველი განსასუენებელი ძმათაჲ. გინებსა, რადთა ვიყოფოდი მუნ? ჰრქუა მას ბერმან: სადაცა არა ავნებდე ძმასა შენსა, მუნცა იყოფოდე, რამეთუ ესე კაცი არს, რომელსა თავი თუისი ეცნას.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (101:297v), **Sin.geo.N.55** (87:29r), **Ath.12** (123:172r), **Dvali, 1974** (111:188)

51.124. (59r) Poemen 160 (GE507, R734)

მერმე თქუა მამამან პიმენ, რამეთუ: სამი ესე თავ არს: შიში უფლისაჲ და ლოცვაჲ ღმრთისა მიმართ და კეთილის ყოფაჲ მოყუსისა თუისისაჲ.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (102:297v), **Sin.geo.N.55** (88:29r), **Ath.12** (124:172r), **Dvali, 1974** (112:188)

51.125. (59r/v) Poemen 162 (GE508, R736)

inc.: ძმამან ჰკითხა მამასა პიმენს: რაჲ ვყო?

Des.: ჰრქუა მას ბერმან: შე-უკუე-ვიდეთ სენაკად ჩუენდა და დავსხდეთ და უფალი შეგუეწეოდის ჩუენ ყოველსა შინა.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (103:297v), **Sin.geo.N.55** (89:28v-29r), **Ath.12** (125:172r/v), **Dvali, 1974** (113:189)

51.126. (59v) Poemen 165 (GE509, R739)

ძმამან ჰკითხა მამასა პიმენს შეგინებისათუის ძილსა შინა. ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ განვამტკიცოთ შრომაჲ ჩუენი, დაღათუ ვეძიებდეთ, ვერვე ვპოოთ ჩუენ თანა შეგინებაჲ.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (104:298r), **Sin.geo.N.55** (90:29v), **Ath.12** (126:172v), **Dvali, 1974** (114:189)

51.127. (59v) Poemen 166 (GE510, R740)

იტყოდა მამაჲ პიმენ, ვითარმედ: მესამედ ნათესავითგან და მამისა მოსესითგან სკიტეს არღარა მოვიდეს ძმანი წარმატებად.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (105:298r), **Sin.geo.N.55** (91:29v), **Ath.12** (127:172v), **Dvali, 1974** (115:189)

51.128. (59v) Poemen 167 (GE511, R741)

მერმე თქუა კაცმან: უკუეთუ წესი თუისი ძჰყრას, არასადა შფოთ იყოს.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (106:298r), **Sin.geo.N.55** (92:29v), **Ath.12** (128:172v), **Dvali, 1974** (116:189)

51.129. (59v) Poemen (GE512)

მერმე თქუა: უკუეთუ რომელი იხილა კაცმან და არა დაამარხა, ვითარ-
მე იკადროს მოყუსისა სწავლად?

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (107:298r), **Sin.geo.N.55** (93:29v),
Ath.12 (129:172v), **Dvali, 1974** (117:189)

51.130. (59v) Poemen (GE513)

მერმე თქუა, რამეთუ: არა ვხედავთ წინადსწარ საქმეთა და მის გამო ვერ
შეუძლით უმჯობესისა წარმატებად.

Notes:

Parallel Georgian sources: Sin.geo.O.35 (108:298r), Sin.geo.N.55 (94:29v),
Ath.12 (130:172v), Dvali, 1974 (117:189)

51.131. (59v) Poemen (GE513)

მერმე თქუა: კაცისა რომლისადა არა გულპყრობილ იყო, ნუ არწმუნებ
მას გონებასა შენსა.

Notes:

Parallel Georgian sources: Sin.geo.O.35 (109:298r), Sin.geo.N.55 (95:29v),
Ath.12 (131:172v), Dvali, 1974 (117:189)

51.132. (59v-60r) Poemen 168 (GE515, R742)

inc.: ძმაჲ ჰკითხვიდა მამასა პიმენს: ვითარ მიღირს მე, მამაო, ჯდომად
სენაკსა შინა?

Des.: რადთა ეკსენოს ბრალი თუისი ყოველსა ადგილსა და კანონისა ჟამი
ეგრეთვე, ხოლო დასასრულად ამათსა თანა-მყოფთა კეთილთა შეეყავ,
ხოლო ბოროტთაგან განეშორე.

Notes:

Parallel Georgian sources: Sin.geo.O.35 (110:298r), Sin.geo.N.55 (96:30r),
Ath.12 (132:173r/v), Dvali, 1974 (118:189-190)

51.133. (60r) Poemen (GE516)

მერმე კუალად თქუა: კაცი რომელი შეყოფილ იყოს მოყუასსა უღირს, რადთა იყოს, ვითარცა ძეგლი ქვისაჲ, რომელი იგინებინ და არაჲ განრისხნის, იდიდებინ და არა მალლოინ.

Notes:

Parallel Georgian sources: Sin.geo.O.35 (111:298r), Sin.geo.N.55 (97:30r), Ath.12 (133:173r), Dvali, 1974 (119:190)

51.134. (60r) Poemen 139 (GE517, R713)

თქუა მამამან პიმენ: უკუეთუ ხილვაჲ რადმე იხილო და ჳმანიცა გესმოდინ, ნუვის უთხრობ მას. რამეთუ გარე-შექცევაჲ არს ზრძოლისაჲ.

Notes:

Parallel Georgian sources: Sin.geo.O.35 (112:298r), Sin.geo.N.55 (98:30r), Ath.12 (134:173r), Dvali, 1974 (120:190)

51.135. (60r) Poemen 169 (GE518, R743)

inc. მერმე ძმამან ჰრქუა მამასა პიმენს: უკუეთუ ძმამან მიილოს ჩემგან მცირედი კერმაჲ, გინებსა, რადთა ვჰკითხო მას?

Des. ჰრქუა მას ბერმან: აცადე, გულის-სიტყუაჲ იგი განსთქდეს, გარნა ძმასა ხოლო შენსა ნუ აჭირვებ.

Notes:

Parallel Georgian sources: Sin.geo.O.35 (113:298r), Sin.geo.N.55 (99:30r), Ath.12 (135:173r/v), Dvali, 1974 (121:190)

51.136. (60r/v) Poemen (GE519)

inc. სხდეს ოდესმე ბერნი და იტყოდეს გულის-სიტყუათათუის.

Des. სხუამან თქუა: არასადა უტევი დავიწყებასა, ვითარმცა მეუფლა არცადა ჟამ ერთ.

Notes:

Parallel Georgian sources: Sin.geo.O.35 (114:298r), Ath.12 (136:173v), Dvali, 1974 (121:190)

51.137. (60v) Poemen =Paulus 2 (GE520, R795)

თქუა მამამან პავლე: მე ერთ ჯერი მწუირესა დაფლულ ვარ ვიდრე ყელამდე და ვლადებ ღმრთისა მიმართ ტირილით: შემიწყალე მე.

Notes:

Parallel Georgian sources: Sin.geo.O.35 (112:298r), Ath.12 (137:173v), Dvali, 1974 (122:190)

51.138. (60v) Poemen 171 (GE521, R745)

ხოლო მამამან პიმენ თქუა: ესრე ვიტყუი, ვითარმედ: ადგილსა მას, რომელსა შინა ეშმაკი შთაგდებად არს, მეცა მუნ შთაგდებად ვარ.

Notes:

Parallel Georgian sources: Sin.geo.O.35 (116:298r), Ath.12 (138:174r), Dvali, 1974 (123:191)

51.139. (60v) Poemen 172 (GE522, R746)

ჰრქუა მამამან პიმენ მამასა ანობს: მოაქციენ თუალნი შენნი, რადთა არა იხილონ ამაოებად, რამეთუ აზნაურებად სულთა მოსრავს.

Notes:

Parallel Georgian sources: Sin.geo.O.35 (117:298v), Ath.12 (139:174r), Dvali, 1974 (124:191)

51.140. (60v) Poemen 140 (GE523, R714)

თქუა მამამან პიმენ: წინადაწარ ერთგზის ილტოდე და მეორესა ჯერსა ივლტოდევე, ხოლო მესამესა ჯერსა იქმენ ვითარცა ჳრმალი.

Notes:

Parallel Georgian sources: Sin.geo.O.35 (118:298v), Ath.12 (140:174r), Dvali, 1974 (125:191)

51.141. (60v) Poemen (GE524)

მერმე თქუა: უკუეთუმცა მოსეს არა მიესხნეს ცხოვარნი იგი სადგურად, ვერმცა ეხილვა მაყულოანისა იგი ხილვად.

Notes:

Parallel Georgian sources: Sin.geo.O.35 (119:298v), Ath.12 (141:174r), Dvali, 1974 (125:191)

51.142. (60v) Poemen 173 (GE525, R747)

inc. შეელალა ოდესმე პაესიოს ძმათა თუისთა, და მუნ ჯდა მამაჲ პიმ(ე)ნცა, ვიდრე სისხლისა გარდმოღინებასა მიიწინეს თავთა მათთა და ყოლადვე არაჲ მიუგო მათ ბერმან.

Des. ჰრქუა მას მამამან პიმენ: ვერ მცალდა, მამაო, რამეთუ მეცა ბრძოლასა ვიყავ.

Notes:

Parallel Georgian sources: Ath.12 (142:174r/v), Dvali, 1974 (126:191)

51.143. (61r) Poemen 176 (GE530, R750)

მერმე თქუა: კაცსა რომელსა ყრმაჲ თანა ეპყრას და აქუნდეს მის თანა ბრძოლაჲ რომლითავე ვნებითა ძუელისა მის კაცისაჲთა და მერმე კუალად იპყრობდესველა მის თანა, მსგავს არს ეგევითარი იგი კაცსა, რომელსა ყანაჲ უპყრიედ და ნაყოფი მისი ჭიათა დაუჭამიედ.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (122:298v), **Sin.geo.N.55** (102:30v) **Dvali, 1974** (131:192)

51.144. (61r) Poemen 177 (GE531, R751)

თქუა მამამან პიმენ: უკეთურებაჲ უკეთურებასა არასადა აღიღებს, არამედ უკუეთუ ვინმე ბოროტი გიყოს შენ, კეთილი უყავ მას, რაჲთა კეთილის-ყოფითა მით აღიღო უკეთურებაჲ იგი.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (123:298v), **Sin.geo.N.55** (103:30v) **Dvali, 1974** (132:192)

51.145. (61r) Poemen (GE532)

ესმა ვისთუისმე მამასა პიმენს, ვითარმედ ექუს დღეთა დადრგების და გულ-მწყრალ არს. და თქუა, ვითარმედ: ისწავა ექუსთა გარდადგრომაჲ და ვერ ისწავა გულის-წყრომისა განშორებაჲ ძმაჲ იგი.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.N.55** (104:30v) **Dvali, 1974** (134:192)

51.146. (61r) Poemen (GE533)

თქუა მამამან პიმენ: განეშორე ყოველსა სიტყუასა ცილობისასა.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (124:298v), **Dvali, 1974** (133:192)

51.147. (61r-62r) Poemen 6 (GE534, R580)

inc. ცოდა ოდესმე ძმამან ზოგად ცხორებულთა შორის ძმათა. და იყო ვინმე მუნ მარტოდ მყოფი მათ ადგილთა, არა გამოვიდოდა მრავალჟამ.

Des. ესმა რად ესე ბერსა მას, შეინანა სიტყუასა მას ზედა. და მოეწენა ძმა იგი და თქუა: პიმენ ზეცთა არს და მე ქუეყანასა შინა ვარ.

Notes:

Parallel Georgian sources: **Ath.17** (146:174v-176r), **Dvali, 1974** (135:193)

51.148. (62r-63r) Poemen 8 (GE535, R582)

inc. წარვიდა ოდესმე ძმა მიერ სანახით, სადა-იგი იყო მამად პიმენ, გარე უცხოთა სოფელსა. და მიემთხუია ვისმე მარტოდმყოფსა მის სოფლისასა, რამეთუ აქუნდა დიდი სიყუარული, და მოვლენედ მისა მრავალნი.

Des. და იწყო სწავლად და ფრიად სარგებელ ეყო და თქუა: ჭემმარიტად ესე არს ჭემმარიტი გზად. და ჰმადლობდა ღმერთსა, რამეთუ ესევეითარსა წმიდასა შეემთხუია, და მიიქცა სოფლადვე თუისად.

Notes:

Parallel Georgian sources: **Ath.17** (147:176r-177v), **Dvali, 1974** (136:194-195)

51.149. (63r/v) Poemen 10 (GE536, R584)

inc. გუითხრობდეს ოდესმე ბერნი, ვითარმედ, ოდესმე მამად პიმენ და ძმანი მისნი იქმოდეს სააფრესა ტილოსა და ვერ განისყიდებოდა. და იურვოდეს, რამეთუ არად აქუნდა, რადთამცა იყიდეს სელი.

Des. მაშინ წარვიდა ძმა იგი და დიდითა შრომითა უკუმოილო იგი, უკუეთუ არა, ბერიმცა განშორებულ იყო მათგან. და ვითარცა იხილა, განიხარა, ვითარმცა საფასე რამე ეპოვა.

Notes:

Parallel Georgian sources: **Ath.17** (148:177v-178r), **Dvali, 1974** (137:195)

51.150. (63r) Poemen 18 (GE537, R592)

თქუა მამამან პიმენ: ნუ იყოფი ადგილსა, რომელსა იხილო, ვითარმედ აქუს ვიეთმე შენდა მიმართ მტერობაჲ, უკუეთუ არა, ვერ წარემართო.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (125:298v), **Ath.17** (149:178r), **Dvali, 1974** (138:195)

51.151. (63v-64r) Poemen 20 (GE538, R594)

ჰკითხა მამამან ესაია მამასა პიმენს გულის-სიტყუათათუის მწინკულევანთა. ჰრქუა მას მამამან პიმენ: ვითარცა მოთხესა შინა სამოსელი უკ(უე)თუ მყოვარ უტეოთ, ჟამითი-ჟამად განქარდის.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (126:298v), **Ath.17** (150:178v), **Dvali, 1974** (139:196)

51.152. (64r/v) Poemen 22 (GE539, R596)

inc. იტყოდეს, ვითარმედ მამანი მსგავსად გულის-სიტყუათა მკითხველისა მის უთხრობდეს, რამეთუ მოვიდა ძმა მამისა პიმენისა და ჰრქუა მას: მამაო, ვსთესო ყანასა ჩემსა და ვჰყოფდე მისგან სიყუარულსა.

Des. მაშინ ჰრქუა მას მამამან პიმენ: მეცა წინაითვე ვიცოდე, რამეთუ არა არს ესე საქმე მონაზონისაჲ, არამედ გულის-სიტყუისაებრ მისისა ვარქუ მას და გულს-მოდგინე ვქმენ, რადთა წარემატებოდის სიყუარულსა შინა, ხოლო აწ ესერა წარვიდა გულ-კლებული და მერმე იგივე ყოს.

Notes:

Parallel Georgian sources: **Ath.17** (151:178v-179v), **Dvali, 1974** (140:196)

51.153. (64v) Poemen 72 (GE540, R646)

inc. მოვიდა ოდესმე მამად პიმენ მამისა ანობის თანა დიოკლით კერძო, და ვითარ თანა-წარჰვიდოდა საფლაგებსა, იხილა მუნ დედაკაცი, რომელი ჯდა და ტიროდა მწარედ.

Des. გეტყუი შენ, უკუეთუ არა მოაკუდინოს კაცმან ყოველივე ვნებაჲ ჯორცთა თუისთაჲ და მოიპოვოს ესე გლოაჲ, ვერ იქმნეს მონაზონ, რამეთუ ყოველი ცხორებაჲ მისი და გონებაჲ მისი გლოვასა შინა არს.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (127:298v), **Ath.17** (152:179v-180r), **Dvali, 1974** (141:196-197)

51.154. (64v-65r) Poemen (GE541)

ძმამან ჰკითხა მამასა პიმენს და ჰრქუა: ვითარ მიღირს ზოგად ცხორებულთა თანა ყოფაჲ? ჰრქუა მას ბერმან: რომელი იყოფოდის ზოგად ცხორებულთა თანა, უღირს, რადთა ყოველთა ვითარცა ერთსა ხედვიდეს, და რად შეიკრძალოს პირი თუისი და თუალნი განისუენოს.

Notes:

Parallel Georgian sources: Sin.geo.O.35 (128:298v), Ath.17 (153:180r), Dvali, 1974 (142:197)

51.155. (65r) Poemen (GE542)

თქუა მამამან პიმენ მონათათუის სემისტა, რამეთუ ნივთი ამის სოფლისაჲ არს თავისა თუისისა განმართლებაჲ, რამეთუ ესე მოჰკლავს მომგებელსა თუისა.

Notes:

Parallel Georgian sources: Sin.geo.O.35 (129:299r), Ath.17 (154:180r), Dvali, 1974 (143:197)

51.156. (65r) Poemen 178 (GE543, R752)

მერმე თქუა: დავით ოდეს ლომსა ემთხუიდას, ჳიაჲ უპყრის და მუნთქუესვე მოაკუდინის. უკუეთუ ჩუენცა შევიკრძალოთ ჳორჯი და მუცელი, ღმრთისა მიერ შეუძლოთ მოკლვად ლომსა მას.

Notes:

Parallel Georgian sources: Sin.geo.O.35 (130:299r), Sin.Geo.N.55 (105:31r), Ath.17 (155:180r), Dvali, 1974 (143:197)

51.157. (65r) Poemen (GE544)

მერმე ჰკითხა ძმამან: ვის ვხედვიდე, სენაკსა შინა რაჲ ვჯდე?

Notes:

Parallel Georgian sources: Sin.geo.O.35 (131:299r), Ath.17 (156:180r/v), Dvali, 1974 (143:197)

51.158. (65r) Poemen = Paulus 2 (GE545, R795)

ჰრქუა მას ბერმან: მე ერთი ჯერი კაცი ვარ, შთაგდებული მწუირესა შინა ვიდრე ყელადმდე, და ვლადებ ღმრთისა მიმართ: შემიწყალე მე.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (132:299r), **Sin.Geo.N.55** (106:31r), **Ath.17** (157:180v), **Dvali, 1974** (143:197)

51.159. (65r) Poemen 73 (GE546, R647)

მრავალგზის თქუის ბერმან: ნუსადა შეგირაცხიეს თავი შენი, არამედ შეეყავ კაცსა, რომელი კეთილად ცხოვნდებოდის.

Notes:

Parallel Georgian sources: Sin.geo.O.35 (133:299r), Sin.Geo.N.55 (107:31r), Ath.17 (158:180v), Dvali, 1974 (143:197)

51.160. (65r) Poemen (GE547)

მერმე თქუა: უკუეთუ არა თავისუფალ იქმნეთ ხატისა მისგან, ვერ წარემატნეთ.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (134:299r), **Ath.17** (159:180v), **Dvali, 1974** (143:197)

51.161. (65r) Poemen (GE548)

მანვე თქვა: ყოველივე საქმე, რომელი არა განიშოროს კაცმან, მერმე მასვე შინა შეიპყრას.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (135:299r), **Sin.Geo.N.55** (108:31r), **Ath.17** (160:180v), **Dvali, 1974** (143:197)

51.162. (65r/v) Poemen =Moiseos 12 (GE549, R506)

მერმე თქვა ბერმან, ვითარმედ ძმაჲ ჰკითხვიდა მამასა: რომლითა სახითა მოიკუდინოს კაცმან თავი თუისი მოყუსისაგან? ხოლო მან ჰრქუა მას: უკუეთუ არა დაიდვას კაცმან გულსა შინა თუისსა თავისა თუისისაჲ, ვითარმედ აწ ესერა სამი წელი აქუს სამარესა შინა, ვერ მისწუთეს სიტყუასა მაგას.

Notes:

ვითარმედ ძმაჲ ჰკითხვიდა მამასა მოსეს (Ath. 12, Sin.geo.O.35))

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (136:299r), **Sin.Geo.N.55** (109:31r/v), **Ath.17** (161:180v), **Dvali, 1974** (144:198)

51.163. (65v) Poemen 184 (GE550, R758)

inc. მივიდა ოდესმე მამაჲ ისაკ მამისა პიმენისა და იხილა, რამეთუ გარდაესხა მცირედ წყალი ფერჯთა.

Des. ჰრქუა მას ბერმან: ჩუენ არა გუისწავიეს ჯორცთა მოკუდინებაჲ, არამედ ვნებათა მოკუდინებაჲ.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (136:299r), **Ath.17** (162:180v-181r), **Dvali, 1974** (145:198)

51.164. (65r) Poemen 187 (GE551, R761)

იტყოდეს მამისა პიმენისთუის, ვითარმედ უკუეთუ სხენედ ბერნი მისთანა და ზრახვედ ბერთათუის და თუ თქუიან მამისა სისოდსთ(უის), ჰრქუის: უტევეთ, უტევეთ მამისა სისოდსთუის, რამეთუ ვერ იპოვოს სახე მითხრობისა მისისაჲ.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (137:299r), **Ath.17** (163:181r), **Dvali, 1974** (146:198)

51.165. (65v) Poemen (GE552)

თქუა მამამან პიმენ: საქმესა რომელსა ვერ მიწევნულ იყო, ნუ იტყვი, რამეთუ ყოველი რომელი ვნებულად იქმნების, ცოდვად არს და ყოველი დაჭირვებად ღმრთისათვის ღმრთისა აღსაარება არს.

Notes:

Parallel Georgian sources: Sin.geo.O.35 (138:299r), Sin.Geo.N.55 (110:31v), Ath.17 (164:181r), Dvali, 1974 (147:198)

51.166. (65v) Poemen (GE553)

თქუა მამამან პიმენ: აძულეზდ თავსა შენსა, რადთა არა დაამტკიცო ნებად შენი და გაქუნდეს განსუენებად.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (139:299r), **Sin.Geo.N.55** (111:31v), **Ath.17** (165:181r), **Dvali, 1974** (148:198)

51.167. (65v-66r) Poemen (GE554)

inc. მო-რად-ვიდა მამად პიმენ ეგუიპტით კერძო, რადთა იყოფოდის მუნ, მიემთხუია ძმასა ვისმე რომელსა ვითარცა ცოლი ესუა, და იცოდა ბერმან და არასადა ამხილა მას.

Des. და წარვიდა და აღიშენა თავისა თუისისა სენაკი, და მივიდის ბერისა და განუნათლებნ მას ბერი გზათა ღმრთისათა, და შეიძინა ძმად იგი.

Notes:

Parallel Georgian sources: **Ath.17** (166:181v-182r), **Dvali, 1974** (149:198-199)

51.168. (66r/v) Poemen =Timotheus 1 (GE555, R17)

inc. მერმე ჰკითხა ბერსა ხუცესმან ტიმოთე მამასა პიმენს და ჰრქუა: არს ვინმე დედაკაცი ეგუიპტეს, რომელი ისიძავს და სასყიდელსა მას მისსა მისცემს ქველის-საქმარად.

Des. და მეყსეულად წარვიდა და შვევიდა დედათა მონასტერსა და სათნო ეყო ღმერთსა გარდამატებულად.

Notes:

Parallel Georgian sources: **Ath.17** (167:182r/v), **Dvali, 1974** (150:199)

51.169. (66v) Poemen 103 (GE556, R677)

თქუა მამამან პიმენ: უკმს მონაზონსა სამი სახე: ერთი სიმდაბლისაჲ, ერთი მოთმინებისაჲ და ერთი მორჩილებისაჲ.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (140:299v), **Ath.17** (168:182v-183r), **Dvali, 1974** (151:200)

51.170. (66v) Poemen (GE557)

მანვე თქუა: არს კაცი, რომელი დუმის არა სათნოებისათვის, არამედ უნებს, რადთამცა თავსა თუისსა დიდებაჲ მოატყუა, ხოლო რომელი ღმრთისათვის დუმს, მას სათნოებაჲ აქუნდა ღმრთისაგან მოიღის მადლი.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (141:299v), **Sin.Geo.N.55** (112:31v), **Ath.17** (169:183r), **Dvali, 1974** (151:200)

51.171. (66v-67r) Poemen (GE558)

მანვე თქუა: უღირს კაცსა, რადთა ეკრძალებოდის საქმესა თუისსა, ნუუკ(უ)ე წარ-რადმე-წყმიდოს მისგანი. უკუეთუ ვინმე ქმნეს ფრიად, და არა ეკრძალოს, არარაჲ სარგებელ ეყოს მას. ხოლო უკუეთუ ვინმე ქმნეს მცირედ, და ეკრძალოს, მისი ეგოს.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (142:299v), **Sin.Geo.N.55** (113:31v), **Ath.17** (170:183r), **Dvali, 1974** (151:200)

51.172. (67r) Poemen (GE559)

inc. და წარმოგუითხრა ჩუენ ესევითარი რადმე საქმე და თქუა: კაცსა ვისმე სამკუიდრებელი დაშთა.

Des. აწ უკუე ვითარცა ვთქუ, უღირს კაცსა, რადთა ფრთხილ იყოს და ეკრძალეზოდის საქმესა თუისსა.

Notes:

Parallel Georgian sources: **Ath.17** (171:183r/v), **Dvali, 1974** (151:200)

51.173. (67r) Poemen (GE560)

მერმე თქუა ქუეყანად იგი, რომელსა ზედა ამცნო უფალმან შეწირვად შესაწირავისად, ესე არს სიმდაბლე.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (143:299v), **Ath.17** (172:183v), **Dvali, 1974** (151:200)

51.174. (67v) Poemen 132 (GE561, R706)

თქუა მამამან პიმენ: შიმშილმან და წყურილმან არა გუაუფლა ამის წულილისა გამოძიებად.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (144:299v), **Ath.17** (173:183v), **Dvali, 1974** (152:200)

51.175. (67v) Poemen (GE562)

ძმამან ჰკითხა მამასა პიმენს და ჰრქუა: ვითარ შეუძლო გულის-სიტყუათა ჩემთა აღყვანებად ზე? ჰრქუა მას ბერმან მე ერთი ჯერი დაღათუ უნდეს გულის-სიტყუასა ჩემსა აღსლვად ზე, გარდამოვილო იგი ქუეყანად.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (145:299v), **Ath.17** (174:184r), **Dvali, 1974** (153:201)

51.176. (67v) Poemen (GE563)

inc. მერმე კუალად თქუა: გონებით აქუს კაცსა რისხვად არა კაცთა მიმართ, არამედ ვნებათა მიმართ, რადთა აღიძრას და განიშორნეს იგინი.

Des. და ძილი ეგრევე ბუნებით არს კაცისად, არამედ არა უწესოდ.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (146:299v), **Sin.Geo.N.55** (114:32r), **Ath.17** (175:184r), **Dvali, 1974** (153:201)

51.177. (67) Poemen (GE564)

კუალად ჰრქუა ძმამან მან: მამაო, ჯორცნი ჩემნი მოუძღურდეს და ვერ ძალ-მიც მარხვად, მითხარ მე სიტყუად, რადთა ვცხოვნდე მას შინა. ჰრქუა მას ბერმან: გულის-სიტყუათა შეკრძალვად ძალ-გიცა, რადთა არა მივიდენ მოყუსისა შენისა და განიკითხვიდეს მას?

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (147:299v), **Sin.Geo.N.55** (115:32r), **Ath.17** (176:184r), **Dvali, 1974** (153:201)

51.178. (67v-68r) Poemen (GE565)

მერმე ჰკითხა ძმამან და ჰრქუა: ვითარ ვყო, რამეთუ შფოთ ვარ და შეურვებულ ამას ზედა? ჰრქუა მას ბერმან: ნუვის შეურაცხ-ჰყოფ, ნუვის განიკითხავ და ნუცაღა ძუირსა ვისსა იტყუი და მოგც(ე)ს შენ ღმერთმან განსუენებად.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (148:299v), **Sin.Geo.N.55** (116:32r), **Ath.17** (177:184v), **Dvali, 1974** (153:201)

51.179. (68r) Poemen (GE566)

inc. თქუა მამამან პიმენ: ცხორებად ი(სრა)წლისად ესე არს, რადთა ყოველსა ჟამსა თავსა თუისსა აბრალეზდეს.

Des. არამედ არა მოცემული არს ჩუენდა თუალითა ხილვად.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (149:299v), **Sin.Geo.N.55** (117:32v), **Ath.17** (178:184v), **Dvali, 1974** (154:201)

51.180. (68r) Poemen (GE567)

მერმე თქუა: სენაკსა შინა ჯდომად და ბერთასა მისლვად სწავლისათუის სწორ არიან.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (150:299v), **Sin.Geo.N.55** (118:32v), **Ath.17** (179:184), **Dvali, 1974** (154:201)

51.181. (67) Poemen 64 (GE568, R638)

თქუა მამამან პიმენ მამისა პიორისათუის, ვითარმედ დღითი-დღედ იწყებნ სათნოებათა აღსრულებად.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (151:300r), **Sin.Geo.N.55** (119:32v), **Ath.17** (180:184v-185r), **Dvali, 1974** (155:201)

51.182. (68r) Poemen 150(GE569, R724)

მერმე თქუა მამამან პიმენ, ვითარმედ: სამნი სათნოებისა საქმენი ვიხილენ მამისა პამბოოს თანა: მარხვად მწუხრითი-მწუხრად ყოველსა დღესა და დუმილი დიდი ჯელთ-საქმარი.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (152:300r), **Sin.Geo.N.55** (120:32v), **Ath.17** (181:185r), **Dvali, 1974** (156:202)

52. (68r-70r) Pambo

Tit.: მამისა პამბოოსთუის

52.1. (68r/v) Pambo 2 (GE570, R763)

inc. მოუჯდეს ოდესმე ძმანი მამასა პამბოს. და ჰკითხა ერთმან და ჰრქუა: მამაო, ორ-ორით ვიმარხავ და ორსა პურსა შევმჭამ, ვცხოვნდე-მეა ანუ ვსცთები მე რას?

Des. და ჰრქუა მათ: კეთილ არიან საქმენი ეგე თქუნენი, უკუეთუ გონებითაცა ეკრძალნეთ საქმეთა თანა და არავის განიკითხვიდეთ. და ამას ზედა გულდებულ იქმნეს ძმანი იგი და წარვიდეს.

Notes:

Parallel Georgian sources: **Ath.17** (1:185r-186r), **Dvali, 1974** (1:202)

52.2. (69r) Pambo 3 (GE571, R764)

inc. მივიდეს ოდესმე ძმანი ოთხნი სკიტელნი ნეტარისა მამისა ჰამბოსა, რომელთა ემოსა ხალენები.

Des. ჰრქუა მათ ბერმან: ჭეშმარიტსა გეტყუი, რამეთუ ამისი სათნოებად უფროდს არს. რამეთუ თუითეულმან თქუნენგანმან, რომელიცა სათნოებად მოიპოვა, ნეფსით მოიპოვა იგი, ხოლო ამას თუისი ნებად დაუტევებიეს და სხუისა ნებასა ჰყოფს, ესევეთარი აღმსაარებელი არს, უკუეთუ დაიმარხოს სრულიად.

Notes:

Parallel Georgian sources: **Ath.17** (2:186r), **Dvali, 1974** (2:202-203)

52.3. (69r/v) Pambo 4 (GE572, R765)

inc. ნეტარი ათანასი მთავარ-ეპისკოპოსი ევედრებოდა მამასა ჰამბოს, რადთამცა შთავიდა უდაბნოდთ ალექსანდრიად.

Des. ხოლო მან ჰრქუა მათ: ორისა სახისათუის: ერთად მის დედაკაცისა წარწყმედისათუის და მეორედ ამისთუის, რამეთუ მე ესოდენი სწრაფად არა მაქუს, რადთამცა სათნო ვეყავ ღმერთსა, ვითარ-ესე ამას, რადთამცა სათნო ეყო კაცთა არაწმიდათა.

Notes:

Parallel Georgian sources: **Ath.17** (3:186v), **Dvali, 1974** (3:203)

52.4. (69v) Pambo 5 (GE573, R766)

თქუა მამამან ჰამბო, ვითარმედ: ღმრთისათუის, ვინადოგან მონაზონ ვიქმენ, არასადა შევინანე სიტყუასა, რომელსა ვიტყოდე.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.Geo.O.35** (1:300r), **Ath.17** (4:186v), **Dvali, 1974** (4:203)

52.5. (69v) Pambo 10 (GE574, R771)

მერმე თქუა: უკუეთუ გული გედვას, ძალ-გიც ცხორებად.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.Geo.O.35** (2:300r), **Ath.17** (5:186v), **Dvali, 1974** (5:203)

52.6. (69v) Pambo (GE575)

inc. იტყოდეს წმიდათა მამათათუის და მამისა ზესარიონისთუის და მამისა ესადადსთუის და მამისა პაესიოსისთუის, ვითარმედ ძლიერ იყუნეს ფრიად.

Des. ხოლო მათ ჰრქუეს: დიდითა მარხვითა და რაფთა ეკრძალებოდინ გონებასა მოყუსისასა არა განკითხვად მისა.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.Geo.O.35** (3:300r), **Ath.17** (6:186v-187r), **Dvali, 1974** (6:203)

52.7. (69v) Pambo 8 (GE576, R769)

იტყოდეს მამისა პამბოძსთუის, რამეთუ აღ-რაფ-ესრულებოდა, თქუა: ვინადთგან მოვედ ამას ადგილსა, არასადა დავეყავ თუინიერ ჳელთ-საქმრისა, ერთცა არცა ვჰამე პური ვისიმე, არცა შევინანე სიტყუასა, რომელსა ვიტყოდე. და აწ ეგრე შემირაცხიეს, ვითარმცა შე-ვე-არღა-დგომილ ვიყავ ღმრთის-მსახურებასა.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.Geo.O.35** (4:300r), **Ath.17** (7:187r), **Dvali, 1974** (7:204)

52.8. (69v-70r) Pambo 12 (GE577, R773)

იტყოდეს მამისა პამბოძსთუის, რამეთუ ვითარცა მოილო მოსე დიდებად იგი ხატისა მის ადამისი, ოდეს-იგი დიდებულ იქმნა პირი მისი, ეგრეცა მამისა პამბოძსი პირი ელვის სახედ გამოზრწყინდის და არნ იგი,

ვითარცა მეუფე. მჯდომარე საყდართა ზედა. იგივე მაღლი აქუნდა მამასა სილოანეს და მამასა სისოს.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.Geo.O.35** (5:300r), **Ath.17** (8:187v), **Dvali, 1974** (8:204)

52.9. (70r) Pambo (GE578)

თქუა მამამან პამბო: ფუტკარი ვიდრეცა ვიდოდის, თაფლსა იქმს, ეგრეცა მონაზონი, ვიდრეცა წარვიდეს, საქმესა ღმრთისასა იქმს.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.Geo.O.35** (6:300r), **Ath.17** (9:187v), **Dvali, 1974** (9:204)

52.10. (70r) Pambo (GE579)

მერმე თქუა, ვითარმედ: ეშმაკი საბლისა მთხზელი არს: რავდენცა ნივოსა მისცემდე, ეგოდენცა იგი თხზვიდეს. ხოლო ესე თქუა გულის-სიტყუათათუის.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.Geo.O.35** (7:300r), **Ath.17** (10:187v), **Dvali, 1974** (9:204)

52.11. (70r) Pambo 14 (GE580, R775)

მივიდა მამად თეოფილე ფერმელი მამისა პამბოდსა შეურვებული ფრიად და ითხოვდა მისგან სიტყუასა. ჰრქუა მას ბერმან: ვიდოდე და ჰყოფდ წყალობასა ყოველთა თანა, რამეთუ ფრიადი კადნიერება აქუს ღმრთისა მიმართ.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.Geo.O.35** (8:300r), **Ath.17** (11:187v-188r), **Dvali, 1974** (10:204)

52.12. (70r) Pambo (GE581)

იტყოდეს მამისა პამბოხსთუის, ვითარმედ ჰმატდა ყოველთა მათ ბერთა დუმილითა მით მისითა.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.Geo.O.35** (9:300r), **Ath.17** (12:188r), **Dvali, 1974** (11:204)

53. (70r-71r) Pistos

Tit.: მამისა პისტესთუის

53.1. (70r-71r) Pistos 1 (GE582, R776)

inc. გუითხრობდა ძმაჲ ჩუენი პისტოს და თქუა: მივედით შუიდნი მეუდაზნოენი მამისა სისოისსა, იყოფოდა რაჲ ჭალაკსა მას კოლიზმისასა, რადთამცა მითხრა ჩუენ სიტყუაჲ და ვევედრებოდით ფრიად.

Des. მერმე ჰკითხა მას ძმამან: რაჲ არს უცხოებაჲ, მამაო? ხოლო მან ჰრქუა მას: დადუმენ და თქუ, მე არა ხარკ ვარ. ყოველსა ადგილსა, ვიდრეცა ხუიდე, და იგი არს უცხოებაჲ.

Notes:

Parallel Georgian sources: **Ath.17** (1:188r-189v), **Dvali, 1974** (1:205-206)

54. (71r/v) Pior

Tit.: იტყოდეს მამისა პიორისთუის

54.1. (71r) Pior 2 (GE583, R778)

inc. იტყოდეს მამისა პიორისთუის, ვითარმედ ზე-სლვით ჭამის პური.

Des. და სხუამან ვინმე ჰკითხა მას მისვე სახისათუის და მან თქუა, რადთა არაჭამასა ჯორციელებისა გემოდ ცნას სულმან.

Notes:

Parallel Georgian sources: **Ath.17** (1:189v-190r), **Dvali, 1974** (1:206)

54.2. (71v) Pior 3 (GE584, R779)

inc. იყო ოდესმე შეკრება სკიტეს შეცოდებულისათვის ძმისა და ზრახვიდეს მამანი, ხოლო მამა პიორ დუმნა.

Des. და ვითარცა ესმა ესე მამათა, თქუეს: ჭეშმარიტად ეგე არს გზად ცხორებისად.

Notes:

Parallel Georgian sources: Ath.17 (2:190r/v), Dvali, 1974 (2:206)

55. (71v-72r) Pityrion

Tit.: მამისა პიტირიონისთვის

55.1. (71v-72r) Pityrion 1 (GE585, R780)

იტყოდა მამად პიტირიონ, მოწაფე წმიდისა ანტონისი, ვითარმედ: რომელსა უნდეს ეშმაკთა განსხმად, პირველად ვნებანი დაიმორჩილენინ, რამეთუ რომელსაცა ვნებასა მძლე ექმნას, მისიცა ეშმაკი განჯადოს. და თქუა: შეუდგს ეშმაკი რისხვასა; უკუეთუ ვინმე რისხვასა მძლე ექმნას, განძებულ არს მისი იგი ეშმაკი ეგრევე სახედ თუითეულისაგან ვნებისა.

Notes:

Parallel Georgian sources: Sin.Geo.O.35 (1:300v), Ath.17 (1:190v), Dvali, 1974 (1:207)

56. (72r/v) Petrus

Tit.: მამისა პეტრესთვის

56.1. (72r) Petrus 2 (GE586, R783)

inc. ვარქუ მამასა პეტრეს: ოდეს ვიყვი სენაკსა შინა მარტომ, მშუიდობით არნ სული ჩემი, ხოლო ოდეს ძმად მოვიდის და სიტყუად გარეთ მომითხრის, აღმიშფოთის სული ჩემი.

Des. და მრქუა მე ბერმან: გლოვად ასწავებს ყოველსა, ხოლო სადა არა არს გლოვად, მუნ ვერ შესაძლებელ არს შეკრძალვად.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.Geo.O.35** (1:300v), **Ath.17** (1:190v-191r), **Dvali, 1974** (1:207)

56.2. (72r/v) Petrus 4 (GE587, R785)

თქუა მამამან პეტრე, ვითარმედ: არა ჯერ-არს თავისა ამაღლება, რაჟამს უფალმან ქნეს რამე ჩუენ მიერ, არამედ უფროდს-და გუიღირს დამდაბლება, რამეთუ ღირს ვიქმნენით ხადიდ სახელსა მისა და იტყოდა, ვითარმედ: ყოველსა ზედა სათნოებასა გუიღირს ესრეთ ყოფად.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.Geo.O.35** (2:300v), **Ath.17** (2:191r/v), **Dvali, 1974** (2:207)

56.3. (72v) Petrus 3 (GE588, R784)

inc. იტყოდეს მამისა პეტრესთვის და მამისა ეპიმახოსისთვის, ვითარმედ შეთქუმულად ცხოვნდებოდეს და პურის ჭამასა ეკლესიად აძულდებდეს მათ ტაბლასა მას წმიდათასა.

Des. ხოლო აწ მი-რად-ვედ მამათა თანა, ყოველთა უმრწემეს ვიყავ და უმდაბლეს გულის-სიტყუითა.

Notes:

Parallel Georgian sources: **Ath.17** (3:191v-192r), **Dvali, 1974** (3:208)

57. (72v-73v) Paphnutius

Tit.: მამისა პაფნოტისთვის

57.1. (72v-73r) Paphnutius 2 (GE589, R787)

inc. იტყოდეს მამისა პაფნოტისთვის, ვითარმედ არასადა სუის ღუინოდ. და მივიდოდა ოდესმე გზასა და მიემთხუია კრებულსა ზედა ავაზაკთასა და პოვნა იგინი, რამეთუ სუმიდეს ღუინოსა.

Des. და შეიძინა ბერმან ყოველი იგი კრებული, რამეთუ დაუტევა ნებად თუისი ღმრთისათუის.

Notes:

Parallel Georgian sources: **Ath.17** (1:192r/v), **Dvali, 1974** (1:208)

57.2. (73r) Paphnutius (GE590)

მიუვლინა ნეტარმან მან სარა მამასა პაფნოტის და ჰრქუა: საქმე ღმრთისად ეგრე აღასრულეა, რამეთუ უგულებელს-ჰყავ და ესრეთ შეურაცხ იქმნა ძმად შენი? თქუა მამამან პაფნოტი: და აქა არსაა პაფნოტი, ვითარცა საქმესა ღმრთისასა აღმასრულებელი? მე საქმე არავის თანა მიც.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.Geo.O.35** (1:300v), **Ath.17** (2:192v), **Dvali, 1974** (2:209)

57.3. (73r) Paphnutius (GE591)

თქუა მამამან პაფნოტიოს: ნეტარ არს მის კაცისა, რომელმან თავს-იდვას შრომად მადლობით და მოთმინებით.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.Geo.O.35** (2:300v), **Ath.17** (3:192v-193r), **Dvali, 1974** (3:209)

57.4. (73r/v) Paphnutius 4 (GE592, R789)

inc. იყო ვინმე ძმად მამისა პაფნოტის თანა, და ბრძოლად აქუნდა სიძვისად და იტყოდა: დათუ შევირთო ათი ცოლი, ვერვე კმა არს ჩემდა.

Des. ხოლო მან ჰრქუა მას: არს. და დაუტევა ყოველი და შეუდგა მას და გამოცდილებისა მისგან იქმნა იგი დიდად მონაზუნად.

Notes:

Parallel Georgian sources: **Ath.17** (4:193r/v), **Dvali, 1974** (4:209)

57.5. (73v) Paphnutius =Eudaimon 1 (GE593, R234)

გუითხრობდა მამად ედემუნ მამისა პაფნოტისთვის, რომელსა ერქუა ბობალოზ, რომელი იყო წინამძღუარი სკიტისად, ვითარმედ: შთავედ მუნ სიჭაბუკესა ჩემსა და არა მიტევა ყოფად მუნ და თქუა: ჩემსა ზე არა უტეო პირი დედაკაცისად ყოფად სკიტეს ბრძოლათათვის მტერისათა.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.Geo.O.35** (3:300v), **Ath.17** (5:193v-194r), **Dvali, 1974** (5:209-210)

58. (73v-74r) Paisius

Tit.: მამისა პაესიოსისთვის

58.1. (73v-74r) Paisius (GE594)

inc. გუითხრობდეს მამისა პაესიოსისთვის, ვითარმედ აღილო ოდესმე ძამაჲ და მივიდა კალოდ და ჰრქუა ნაყოფისა უფალსა მას: მეცმე იფქლი.

Des. და ბერმან ჰრქუა მათ: სახედ ეგრე უჩუენე თავსა ჩემსა, ვითარმედ უკუეთუ ვინმე არა ქმნეს, არცა მოილოს სასყიდელი ღმრთისაგან.

Notes:

Parallel Georgian sources: **Ath.17** (1:194r), **Dvali, 1974** (1:210)

59. (74r) Pitimius

Tit.: მამისა პიტიმისთვის

59.1. (74r) Pitimius (GE595)

inc. იტყოდა ძამაჲ პიტიმი, ვითარმედ: ოდეს მოვედით სკიტედ, მომართუეს ჩუენ ალექსანდრიაჲთ კაცად-კაცადსა კესტითა ზეთი დაგოზილი ცარციტა.

Des. და ვითარცა მოიღეს ძმათა მათი იგი დაგოზილი, ვითარცა წინაჲთ იყო, და ჩემსა მას ხოლო ჯურელი ედვა, ეგრე შევიქმენ სირცხუილითა, ვითარმცა ვინ სიძვასა ზედა დამაჰყრა.

Notes:

Parallel Georgian sources: **Ath.17** (1:194v), **Dvali, 1974** (1:210)

60. (75r/v) Paulus

Tit.: მამისა პავლესთვის

60.1. (75r) Paulus 1 (GE596, R791)

inc. გუითხრობდეს მამისა პავლესთვის, რომელი იყო ქუემო კერძოთა მათ ადგილთა ეგუიპტისათა, და იყოფოდა იგი თეზაიდას.

Des. ხოლო მან ჰრქუა: შემინდვეთ მე, მამანო, არამედ უკუეთუ ვინმე მოიპოოს სიწმიდე, ყოველივე დაემორჩილოს მას, ვითარცა ადამსა, ოდეს-იგი სამოთხესა შინა იყო, ვიდრე არღა გარდასრულ იყო მცნებასა ღმრთისასა.

Notes:

Parallel Georgian sources: **Ath.17** (1:195r), **Dvali, 1974** (1:210-211)

60.2. (75r) Paulus (GE597)

თქუა მამამან პავლე წიგნის-მმოსელმან: შეუდეგ ძსოს.

Notes:

Parallel Georgian sources: **Ath.17** (2:195r), **Dvali, 1974** (2:211)

60.3. (75r) Paulus = Paulus Cosmeta 2 (GE598, R793)

inc. იგივე ძმა პავლე და ტიმოთე, ძმა მისი, წიგნის-მმოსელნი იყუნეს სკიტეს და აწყინებდეს მათ ძმანი.

Des. ჰრქუა მას პავლე: კმა არს, ძმაო ჩუენდა დაყუდეზად ღამისადცა, უკუეთუ ფრთხილ იყოს გონება ჩუენი ღმრთისა მიმართ.

Notes:

Parallel Georgian sources: **Ath.17** (3:195r/v), **Dvali, 1974** (2:211)

60.4. (75r/v) Paulus = Paulus Cosmeta 1 (GE599, R792)

inc. სხდეს რად იგინი სკიტეს, მამად პავლე და მამად ტიმოთე, ზედადს-ზედა სულ-მოკლებად იქმნებოდა მათ შორის.

Des. და ესრეთ გარდავლნეს დღენი მათნი მშუიდობით.

Notes:

Parallel Georgian sources: **Ath.17** (4:195v), **Dvali, 1974** (3:211)

60.5. (75v) Paulus = Paulus Magnus 1 (GE600, R794)

იტყოდა დიდი მამად პავლე გალატიელი, ვითარმედ: მონაზონსა, რომელსა აქუნდეს სენაკსა შინა მცირედ რამე საკმარი და იგი განვიდეს რეწვად, იგი ეშმაკთაგან შეიტყოების, რამეთუ თუით მეცა შემემთხუია ებე.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (1:301r), **Ath.17** (5:195v-196r), **Dvali, 1974** (4:211)

60.6. (75v) Paulus = Paulus Magnus 3 (GE601, R796)

იტყოდეს მისვე მამისა პავლესთვის, ვითარმედ: გარდავლნა ორმეოცნი იგი დღ(ე)ნი მარხვისანი ორითა პინაკითა ოსპნითა და სტამნითა ერთითა წყლითა. და ერთი სფურიდი აქუნდა შეყენებულსა კელთა და იგივე შექმნის და კუალად დაარღუის, და კუალად მასვე იქმნ ვიდრე აღვსებისა მოწევნადმდე.

Notes:

Parallel Georgian sources: **Ath.17** (6:196r), **Dvali, 1974** (5:211-212)

61. (75v-78r) Abbas Patria Romano

Tit.: ჰრომით მოსრულისა მისთვის მამისა

61.1. (75r-78r) Abbas Patria Romano 1 (GE601, R803)

inc. მოვიდა ჰრომით დიდი ვინმე მთავარ-ყოფილი სამეუფოსა შინა და იყოფოდა სკიტეს მახლობელად ეკლესიასადა ჰყვანდა მის თანა ერთი მონად ბერი მსახურად.

Des. ხოლო შენ, მამო, დიდისაგან განსუენებისა მოსრულ ხარ ამას ჭირსა და დიდისაგან დიდებისა სიმდაბლესა და სიმდიდრისაგან სიგლახაკესა. და დიდძალად აღეშენა და წარვიდა.

Notes:

Parallel Georgian sources: **Ath.17** (1:233r-235v), **Dvali, 1974** (1:252-254)

62. (78r-87v) Sisoes

Tit.: მამისა სისოესთვის

62.1. (78r-79r) Sisoes 1 (GE602, R804)

inc. ძმასა ვისმე ევნო სხუისაგან ძმისა და მოვიდა მამისა სისოისსა თებელისა და ჰრქუა მას: მევნო ვისგანმე ძმისა და მეცა მინებს, რათა უსაჯო თავსა თუისსა.

Des. ესე ვითარცა ესმა ძმასა მას, დავარდა ფერჯთა თანა ბერისათა და ჰრქუა: არღარა ვერჩი ძმასა მას, შემინდვე, მამაო.

Notes:

Parallel Georgian sources: **Sin.geo.O.35** (1:301r), **Ath.17** (1:196r/v), **Dvali, 1974** (1:212)

62.2. (79r) Sisoes 2 (GE603, R805)

ძმამან ჰკითხა მამასა სისოის და ჰრქუა მას: უკუეთუ იყოს შემთხუევად ძმათად შაბათსა შინა, გინათუ კუირიაკესა და შესუს ძმამან სამი სასუმელი, დიდ არსა, მამაო? ჰრქუა მას ბერმან: უკუეთუ არა არს ეშმაკი, არა დიდ არს, უკუეთუ არს ეშმაკი, დიდ არს.

Notes:

Parallel Georgian sources: **Ath.17** (2:196v), **Dvali, 1974** (2:212)

62.3. (79r) Sisoes 3 (GE604, R806)

